



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვერდნითელი ირაკლი გრიგოლის ძე

გვერდნითელი ირაკლი გრიგოლის ძე (22. XII. 1918, თბილისი, –19. XII. 1991, იქვე), ფიზიკოსი. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979; წ.-კორ. – 1967), საქართვე. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1978–82). საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1974).

დაამთავრა თსუ (1941). 1941–46 მუშაობდა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტში, 1946–69 – სოხ. ფიზიკა-ტექ. ინ-ტში (ამ ინ-ტის დირექტორი 1962–69), პოდოლსკის ტექნოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1969–76), 1976–84 იყო საქართვე. მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტის თავ-რე. 1984-იდან მუშაობდა სტაბილური იზოტოპების სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და თსუ-ში.

გ-ის ძირითადი შრომები ეხება იზოტოპების განცალკევების, ატომური ენერჯიისა და მყარი სხეულების ფიზ. საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევები იზოტოპების განცალკევების ფიზ. პროცესებისა და ტექნოლ. დამუშავებაში საფუძვლად დაედო ჩვენს ქვეყანაში სამეცნ.-კვლ. ცენტრის ჩამოყალიბებას (სტაბილური იზოტოპების ინ-ტი. 1963, თბილისი; ამ ინ-ტს 1992 მისი სახელი უწოდეს). გ-მა გამოიკვლია არანონასწორულ მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებებში იზოტოპურად სელექციური ეფექტები და პროცესები. შეასრულა სამუშაო სითბური ენერჯიის პირდაპირ ელექტრულ ენერჯიად გარდაქმნის სფეროში, რაც დასრულდა მსოფლიოში პირველი თერმოელექტრული რეაქტორ-გარდამქმნელის შექმნით (1964). შეისწავლა მყარ სხეულებში იონური ლეგირების შედეგად მიმდინარე რადიაციული პროცესების ფიზ. საფუძვლები და სხვ. საქ. სსრ IX, X და XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

